დამტკიცებულია 2010 წლის 26 იანვრის წარმომადგენლობითი საბჭოს №16 ოქმით

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დაცვის და უსაფრთხოების სამსახურის

დებულება

მუხლი1. ზოგადი დებულებები

1. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დაცვისა და უსაფრთხოების სამსახური (შემდგომში – სამსახური) უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულია. სამსახურის უფლებამოსილებანი, ვალდებულებები, სტრუქტურა და მართვის ორგანიზაცია განისაზღვრება ამ დებულებით.
2. სამსახური თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონით, უნივერსიტეტის წესდებით, ამ დებულებით და საქართველოს სხვა კანონებითა და კანონქვემდებარე აქტებით.
3. სამსახურის დებულებას, სტრუქტურასა და საშტატო ნუსხას, შესაბამისი წესის მიხედვით, აკადემიური საბჭოს წარდგინებით ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო.
4. სამსახური უზრუნველყოფს უნივერსიტეტში შენობების დაცვას, მომუშავე პერსონალისა და სტუდენტთა უსაფრთხოებას.
5. სამსახური მის წინაშე მდგარი ამოცანების შესრულებისას თავისი კომპეტენციის ფარგლებში საქმიან ურთიერთობებს ამყარებს და თანამშრომლობს უნივერსიტეტის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან.

მუხლი 2. სამსახურის მიზნები და ამოცანები

1. სამსახურის მიზნებია:

   ა) უზრუნველყოს უნივერსიტეტის პერსონალის და სტუდენტების უსაფრთხოება;
   ბ) უნივერსიტეტის ყველა შენობა-ნაგებობის, მათში განთავსებული სასწავლო და არასასწავლო ინვენტარის დაცვა-უსაფრთხოება;
   გ) უნივერსიტეტში შრომის კანონთა კოდექსის, სხვა კანონებისა და კანონქვემდებარე აქტების მოთხოვნათა უთუო შესრულება, რომლებიც სამსახურის კომპეტენციის სფეროს განეკუთვნებიან.

2. სამსახურის ძირითადი ამოცანებია:

   ა) უნივერსიტეტში სასწავლო და არასასწავლო პროცესების დროს უზრუნველყოს უსაფრთხოება უნივერსიტეტის მთელ ტერიტორიაზე;
   ბ) უნივერსიტეტში თავისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოს სასწავლო პროცესის უსაფრთხოება.

მუხლი 3. სამსახურის ფუნქციები და უფლებამოსილება

1. სამსახურის ფუნქციებია:

   ა) უზრუნველყოს უსაფრთხოება უნივერსიტეტში;
   ბ) უზრუნველყოს სტუდენტების, აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის უსაფრთხოება;
   გ) უზრუნველყოს უნივერსიტეტის მატერიალურ ფასეულობათა, ინვენტარის და სხვა დამხმარე საშუალებების დაცვა;
   დ) ხელი შეუწყოს სასწავლო და არასასწავლო პროცესების უსაფრთხოდ ჩატარებას.

მუხლი 4. სამსახურის სტრუქტურა და მართვა

1. სამსახურს ხელმძღვანელობს სამსახურის უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.
2. სამსახური დაკისრებულ მოვალეობათა შესრულებისას ანგარიშვალდებულია ადმინისტრაციის ხელმძღვანელისა და რექტორის წინაშე.
3. დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურში სამსახურის უფროსს ექვემდებარება სამსახურის უფროსის მოადგილე, მთავარი სპეციალისტი და ხელშეკრულებით მოწვეული თანამშრომლები.
4. სამსახურის თანამშრომლებს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი სამსახურის უფროსის წარდგინებით.

მუხლი 5. სამსახურის უფროსი

1. სამსახურის უფროსი:
   ა) ხელმძღვანელობს სამსახურის საქმიანობას და პერსონალურად პასუხისმგებელია ამ დებულებით გათვალისწინებული ფუნქციების შესრულებაზე;
   ბ) შეიმუშავებს ორგანიზაციის საკადრო პოლიტიკას;
   გ) პოზიციების მიხედვით განსაზღვრავს თანამშრომელთა თანამდებობრივ ინსტრუქციებს;
   დ) შეიმუშავებს ვადებში გაწერილ გეგმას შესრულებული სამუშაოს მონიტორინგის პროცესის განსახორციელებლად;
   ე) საჭიროების შემთხვევაში ადმინისტრაციის ხელმძღვანელს აწვდის არგუმენტირებულ ინფორმაციასა და რეკომენდაციებს საკადრო ცვლილებების ან თანამშრომელთა დასჯა-წახალისების აუცილებლობაზე;
   ვ) წარუდგენს შესრულებული სამუშაოს ანგარიშს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს დადგენილ ვადებში;
   ზ) პერიოდულად ისმენს შესრულებული სამუშაოს შესახებ ანგარიშს დაქვემდებარებული თანამშრომლებისაგან;
   თ) სამსახურის ეფექტური, მობილური, დინამიკური ფუნქციონირების მოთხოვნებიდან გამომდინარე სამსახურის უფროსი უფლებამოსილია, თანამშრომელთა შორის გაანაწილოს ფუნქციები, სრულყოს და განავითაროს თანამდებობრივი ინსტრუქციები, ვალდებულებები და პროფესიულ-კვალიფიკაციური მოთხოვნები, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წინაშე დააყენოს სამსახურის საშტატო ნუსხის გაზრდის ან შემცირების საკითხი.

2. სამსახურის უფროსის მოადგილე:
   ა) სამსახურის უფროსის არყოფნის შემთხვევაში პასუხისმგებელია სამსახურის უფროსზე დაკისრებული ფუნქციების შესრულებაზე;
   ბ) ასრულებს სამსახურის უფროსის დავალებებს.

მუხლი 5. დასკვნითი დებულებები

1. სამსახურის გაუქმება ან გარდაქმნა ხდება ადმინისტრაციის წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით, კანონით დადგენილი წესით.
2. ამ დებულებაში ცვლილებების შეტანა ხორციელდება მისი მიღებისათვის კანონით დადგენილი წესით.